ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრის,
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

თედო ისაკაძის

ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ

(01.11.2019-20.10.2020)

ზოგადი ინფორმაცია:

- 2017 წლის 14 ნოემბრიდან მეექვსე მოწვევის საკრებულოს წევრი;
- 2017 წლის 8 დეკემბრიდან დღემდე საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი;
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი.

ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 და ბიუროს 19 სხდომა. ჯამში, მიღებული იქნა 134 დადგენილება და 388 განკარგულება.

ინფორმაცია საკრებულოს კომისიების/ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ:

1. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“:**

ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს 16 სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 21 საკითხი.

ფრაქციის სხდომებზე განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა, ახალი ავტობუსების ექსპლუატაციაში ჩაშვება, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობაში გაერთიანებული ფრაქციების მიერ სოციალური ღონისძიებების ორგანიზება კორონავირუსის პრევენციის მიზნით, ი.ჭავჭავაძის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობის ახალი სქემის შემოღება და სხვა.

2. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია:**

ჩატარდა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის 21 სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 180 საკითხი.

3. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისია:**

ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 15 სხდომა, განხილული იქნა 71 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები.

კომისიის სხდომებზე განხილული იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. უფრო კონკრეტულად:

2019 წლის 8 ნოემბრის სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319304101-03, 31.10.2019);**

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03193011-03; 27.10.2019):**

   პროექტის საფუძველზე, განხორციელდა ცვლილებები რიგი ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების სქემებში. კერძოდ, მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული მოსახლეობის თხოვნა და მოხდა დამატებითი ქუჩების ათვისება, ასევე, მარშრუტების დაგრძელება.

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031931179-03, 07.11.2019).**

2019 წლის 20 ნოემბრის სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319319121-03.15.11.2019).**

2019 წლის 20 დეკემბრის სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვიქტორ წილოსანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **(12-03193473-03; 13.12.2019);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031935379-03 19.12.2019)**;

   პროექტის მიხედვით, ბიუჯეტის სხვა ქვეპროგრამებთან ერთად, გაიზარდა ქვეპროგრამის - საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) ასიგნება - 55 000,0 ათასი ლარით.

3. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319344108-03; 10.12.2019)**:

   პროექტის თანახმად, ტრანსპორტის განვითარების პროგრამისთვის განისაზღვრა 29 858,5 ათასი ლარი, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 17 258,5 ათასი ლარი და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისათვის - 12 600,0 ათასი ლარი.

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319339117-03; 05.12.2019)**;

5. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (**12-0319339118-03; 05.12.2019**);

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (**12-03193471-03; 13.12.2019**):

უნდა ითქვას, რომ ზონალურ საათობრივი პარკირება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომლის განხორციელებაც თბილისის მუნიციპალიტეტმა 2019 წელს დაიწყო.

2019 წლის 1 აგვისტოდან ზონალურ სათობრივი პარკირება წარმატებით მოქმედებს კოტე აფხაზის ქუჩასა და აბანოს ქუჩების ნაწილზე, ასევე, ორბელიანის მოედანზე.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 10 მარტიდან ზონალურ-საათობრივი პარკირება ამოქმედდა ბარათაშვილის ქუჩაზე, სადაც 65 საპარკინგე ადგილით ხუთი ლოკაციაა გამოყოფილი.

ამასთან, 2020 წლის 10 სექტემბრიდან, ზონალურ საათობრივი პარკირება პეკინის გამზირზე და მიმდებარე ქუჩების კვეთაზე ამოქმედდა, ჯამში 736 საპარკინგე ადგილით. პარკირების ახალი სისტემა ჭვანიას მოედნიდან პეკინის გამზირზე სრულად, მიცკევიჩისა და ბახტრიონის ქუჩებზე გამრეკელის ქუჩის კვეთამდე და ყაზბეგის გამზირზე კარტოზიას ქუჩიდან პეკინის გამზირამდე მოქმედებს. სულ განსაზღვრულია ზონალურ-საათობრივი პარკირების 736 ადგილი, აქედან: 373 ადგილი ყაზბეგის გამზირზე, 209 - პეკინის გამზირზე, 52 - ბაგრატიონის ქუჩიდან გამრეკელამდე, 31 - სულხან ცინცაძის ქუჩიდან გამრეკელამდე და 71 - ადამ მიცკევიჩის ქუჩიდან გამრეკელამდე.

ზონალურ-საათობრივი პარკირების ამოქმედება იგეგმება ვაკის რაიონშიც. კონკრეტულად, აბაშიძეზე, ფალიაშვილისა და მათ მკვეთ ქუჩებზე. 20 ოქტომბრიდან, ვაკის რაიონში განთავსდება მუნიციპალური პავილიონები, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, მიიღოს სრული ინფორმაცია და დაარეგისტრირონ ავტომანქანები.

2020 წლის 24 იანვრის სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (**12-032002310-03. 23.01.2020**):

   აღნიშნული განკარგულების ფარგლებში, 2020 წლის 15 ივლისს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ გამოცხადდა ტენდერი, 300 ერთეული მიკროავტობუსის (M2 კატეგორია) შესყიდვის თაობაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 30 497 064 ლარი. ტენდერში გამარჯვებული კომპანიის „ჯი-თი-მოტორს“-ის მიერ (კომპანიასთან ხელშეკრულება დაიდო 18 სექტემბერს 9 915 831.46 ევროს ოდენობით) M2 კატეგორიის ავტობუსების მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**12-032002368-03; 23.01.2020**);

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**12-032002368-03; 23.01.2020**):

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის ფარგლებში გაუქმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური და დედაქალაქში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, დაფუძნდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო". ასევე, დამტკიცდა შესაბამისი დებულება.

ცვლილების აუცილებლობა განაპირობა არსებულმა პრაქტიკამ, რომელმაც აჩვენა, რომ ტრანსპორტის კუთხით საჭიროა დაინტერესებულ პირთათვის, კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ეფექტური, მოქნილი და სრულყოფილი მომსახურების შეთავაზება, რაც შესაძლებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფარგლებში დაინტერესებულ პირთათვის დაჩქარებული ფასიანი მომსახურების გაწევითა და ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვით.

4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032002368-03; 23.01.2020);**

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0320016134-03; 16.01.2020)**.

2020 წლის 18 თებერვლის სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03200378-03; 06.02.2020)**;

წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 217 580 000 ათასი ლარით და შეადგინა 1 238 980 600 ათას ლარი. ასევე, ტრანსპორტის მიმართულებით დაემატა ახალი ქვეპროგრამები: სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - 12 605,5 ათასი ლარი; სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - 2 337,2 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 81 ერთეული.

2. ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს “თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის <u>თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელებასთან</u> დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი **(12-0320037141-03; 06.02.2020):**

„თბილისის ავტობუსების პროექტის“ ფარგლებში, 2019 წელს უკვე განხორციელდა 90 ერთეული 10 მეტრიანი და 220 ერთეული 8 მეტრიანი ავტობუსების შეძენა და მათი მეშვეობით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ კუთვნილი ტექნიკურად მოძველებული ავტობუსების პარკის ნაწილობრივი განახლება. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული რაოდენობა არ არის საკმარისი თბილისის ავტოპარკის სრულად ჩასანაცვლებლად და აუცილებელია დამატებითი რაოდენობის ახალი ავტობუსების შეძენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას 80 მლნ ევროს ოდენობის სესხი გამოუყო, რომლიდანაც 65 მლნ ევროს ტრანში გათვალისწინებულია ახალი ავტობუსების შესაძენად, ხოლო 15 მლნ ევროს ოდენობის ტრანშით უნდა განხორციელდეს არსებული ავტობაზების რეაბილიტაცია და ერთი ახალი ავტობაზის მშენებლობა.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03200421-03; 11.02.2020)**;

4. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03200421-03; 11.02.2020);**

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03200421-03; 11.02.2020);**

6. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად

განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03200421-03; 11.02.2020)**;

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03200421-03; 11.02.2020)**;

8. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03200421-03; 11.02.2020)**;

9. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(16-03200446-03; 13.02.2020);**

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(16-03200446-03; 13.02.2020);**

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(16-03200446-03; 13.02.2020)**;

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27ივლისის №24-80დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(16-03200446-03; 13.02.2020);**

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(16-03200446-03; 13.02.2020).**

2020 წლის, 28 თებერვლის სხდომა:

1. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032005834-03; 27.02.2020)**;

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53–22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032005834-03; 27.02.2020).**

2020 წლის 3 აპრილის სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**16-032008718-03; 27.03.2020)** ;

2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ **(12-03200621-03; 02.03.2020)** .

2020 წლის 15 მაისის სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის <u>ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად“</u> გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (C37466/1413/9665) დანართი B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-03200972-03; 06.04.2020)**:

თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის 2018 წლის მარტიდან გაფორმებულია საგრანტო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს მოხდეს დედაქალაქის საავტობუსე ქსელის შესწავლა და რესტრუქტურიზაცია, ასევე ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების მოდელების დამუშავება და

ერთიანი სისტემის შექმნა. კვლევა ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და მგზავრობის საფასურის გადახდის ინტეგრირებული ავტომატიზირებული სისტემის დანერგვის შესახებ თბილისის მერიას უკვე ჩაბარდა.

2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135 - 135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით, 135^4 და 135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032013544-03; 14.05.2020).**

2020 წლის 9 ივნისის სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032015345-03; 01.06.2020);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაციაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032015716-03; 05.06.2020)**;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032014860-03; 27.05.2020)**.

2020 წლის 30 ივნისის სხდომა:

1. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის მეტროს პროექტთან“ დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032016481-03; 12.06.2020)**:

   ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს თბილისის მუნიციპალიტეტს საქართველოსთვის გათვალისწინებულ თანხას 75 000 000 ევროს სესხის სახით, რომელიც მიზნად ისახავს დედაქალაქში მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში თბილისის მეტროპოლიტენისათვის მოძრავი შემადგენლობის შეძენას და მეტროს დეპოს მშენებლობა/რეკონსტრუქციას და შემაერთებელი გვირაბის რეკონსტრუქციას.

   აქვე უნდა ითქვას, რომ თბილისის მეტროს ელექტროსადენების და სავენტილაციო სისტემის რეაბილიტაცია 2019 წლის ივლისიდან დაიწყო და დასრულდა 2020 წლის სექტემბრის თვეში. რეაბილიტაციის ფარგლებში, 550 კმ სიგრძის ძალოვანი კაბელი და 32 გამნიავებელი შეიცვალა. პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მუნიციპალური განვითარების ფონდის და აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით განახორციელა (პროექტის ჯამური ღირებულება 15 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტია). პროექტის ფარგლებში, მთლიანად განახლდა/გამოიცვალა მეტროს ელექტრო კაბელები და სავენტილაციო სისტემა. ასევე, შეიცვალა არსებული 32 ერთეული გამნიავებელი (ვენტილატორი). სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, გაუმჯობესდება მეტროს უსაფრთხოების ხარისხი და ენერგო ეფექტურობა.

   *უკვე დასრულებულია მეტროს **5 ცალი** სათავო და **4 ცალი** შუა ვაგონის რეკონსტრუქცია. მიმდინარეობს მეტროს **16 ცალი** სათავო და **12 ცალი** შუალედური ვაგონების კაპიტალური მოდერნიზაცია.*

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032016792-03; 15.06.2020):**

აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საერთაშორისო კომპანია Ramboll-ს შორის 2019 წლის 15 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის (SUMP) შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლის ბენეფიციარი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. კვლევებმა გამოავლინა დიდი რაოდენობით საბაგირო დერეფნების განვითარების პოტენციური არეალები, რომელთა ნაწილი გათვლილია ტურისტულ, სამგზავრო და ასევე, კომბინირებულ დატვირთვაზე.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით (მგზავრთ-ტევადობა, შეკავშირებულობა) მაღალი პოტენციალისა და ნაკლები ტექნიკური სირთულეების მქონე საბაგირო დერეფნებად კომპანიის მიერ შემოთავაზებული იქნა 7 მიმართულება. ხოლო საბოლოოდ, ანალიზის შედეგად, შემოთავაზებული 7 დერეფნიდან, გამოიკვეთა სარაჯიშვილი-ზღვისუბნისა და სამგორი ვაზისუბნის მონაკვეთი, რომელთა განვითარებაც არ არის დაკავშირებული სხვადასხვა მოდიფიკაციებსა და ტექნიკურ სირთულეებთან.

ზ/ა მონაკვეთების პროექტირებისა და მშენებლობის ხარჯები საქართველოს მთავრობის შუამდგომლობით, სასესხო შეთანხმების საფუძველზე, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსდება. პირველ რიგში იგეგმება სამგორი-ვაზისუბნის მონაკვეთის პროექტის განხორციელება, რისთვისაც, უკვე გამოყოფილია დაახლოებით 30 მილიონი ევრო.

2020 წლის 14 ივლისის სხდომა:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0320192123-03; 10.07.20);**

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201842-03; 02.07.2020)**;

3. ,,საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201842-03; 02.07.2020)**;

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201842-03; 02.07.2020);**

5. ,,საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201842-03; 02.07.2020);**

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201842-03; 02.07.2020)**;

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201842-03; 02.07.2020)**;

8. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201842-03; 02.07.2020)**;

9. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201842-03; 02.07.2020)**;

10. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად

განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201842-03; 02.07.2020);**

11. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0320183129-03; 01.07.2020**);

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 1252 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე-1355 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0320183129-03; 01.07.2020**);

13. ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით, 135^4 და 135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0320183129-03; 01.07.2020);**

14. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0320183129-03; 01.07.2020)**;

15. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვაანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0320183129-03; 01.07.2020)** ;

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201953-03; 13.07.2020);**

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53–22

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201953-03; 13.07.2020);**

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03201953-03; 13.07.2020)**.

2020 წლის 14 აგვისტოს სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(16-032021971-03; 06.08.2020)**:

   ცვლილების თანახმად, მიწისქვეშა ზონალურ საათობრივი პარკირების შემთხვევაში, უფასო პარკირების უფლებით ისარგებლებს პირი რომელსაც 250 მეტრის რადიუსში აქვს საკუთრებაში უძრავი ქონება.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032022667-03; 13.08.2020)**;
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0320226109-03; 13.08.2020)**.

2020 წლის 8 სექტემბრის სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032024780-03; 03.09.2020)**:

   დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარე შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მიეცა საშუალება განცხადებით მიმართოს დედაქალაქის მთავრობას და შესთავაზოს მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე ან მიწის ნაკვეთზე ზონალური პარკირების ადგილების მოწყობა. სანაცვლოდ მესაკუთრეები მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03202515-03; 07.09.2020)**:

   ცვლილების შედეგად, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M_3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მიენიჭათ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებს

და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ თანამშრომლებს.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03202515-03; 07.09.2020)**;

2020 წლის 1 ოქტომბრის სხდომა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032026885-03; 24.09.2020)**;

   პროექტის თანახმად, ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიის), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), საბაგირო გზით, აგრეთვე სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის გამარტივების მიზნით, უნდა შეიქმნას ერთიანი საინფორმაციო ბაზა ერთიანი ელექტრონული გაბილეთიანების სქემისა და განრიგის ერთობლიობით და დაინერგოს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა.

2. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032027280-03; 28.09.2020**);

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032027280-03; 28.09.2020)**;

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032027280-03; 28.09.2020)**.

2020 წლის 20 ოქტომბრის სხდომა:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-032029367-03; 19.10.2020);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა

გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-032029367-03; 19.10.2020);**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-032029367-03; 19.10.2020);**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-032029367-03; 19.10.2020).**

ასევე, საანგარიშო პერიოდში:

- ✓ შედგა სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრები;
- ✓ დაიგეგმა და შედგა შეხვედრები მოქალაქეებთან (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან);
- ✓ თითოეულ მათგანს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია და დახმარება;
- ✓ სხვადასხვა მოთხოვნით შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე განხორციელებული იქნა სათანადო რეაგირება.